უცხო ენების კათედრის 2022-2023 სასწავლი წლის პირველი სემესტრის მუშაობის ანგარიში

კათედრაში შემავალი საგნები: ინგლისური ენა, რუსული ენა , გერმანული ენა.

კათედრის თავ-რე: მარიამ ჭელიძე

კათედრის მდივანი : ნანა კვიტაშვილი

კათედრის წევრები: მარიამ ჭელიძე, ნანა კვიტაშვილი, ირმა ოყროშიძე, მადონა ხონელიძე, თამილა გაჩეჩილაძე, სოფო ჯულაყიძე, ხათუნა ჯინჭარაძე, მაკა ტყეშელაშვილი, ნინო კაშია.

კათედრის საერთო ფუნქციები:

კათედრაზე შემავალი საგნების უკეთ სწავლების მიზნით საგნების სწავლებაში არსებული პრობლემების კვლევა და მათი გადაჭრის გზების ძიება, აკადემიური მოსწრების სტატისტიკური ანალიზი, სუსტ მოსწავლეებთან მუშაობა, კათედრის წევრთა ურთიერთდახმარება. მოსწავლეების ჩართვა სასკოლო და კლასგარეშე მუშაობაში.

ამოცანები:

უცხო ენების საგნობრივი ჯგუფის ერთერთი მთავარი ამოცანაა მოსწავლეს განუვითაროს მინიმუმ ორ ენაზე კომუნიკაციის უნარი, ზეპირი და წერითი უნარი და ყურადღება ექცევა შეძენილი ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებას. უცხოური ენის კათედრას განსაზღვრული აქვს სწავლების მიზანი, ძირითადი ამოცანები და მიჰყვება საგნის მასწავლებელთა ინდივიდუალურ გეგმებს.

პირველი სემესტრის სწავლების შედეგებითა და მასწავლებელთა დაკვირვებით თუ ვიმსჯელებთ, ირკვევა, რომ მოსწავლეებს უჭირთ ზეპირმეტყველება, ასევე დაბალი შეფასებებია წერით დავალებებში, ამიტომ საჭიროა მეტი მუშაობა, მოსწავლეთა დაინტერესება და ახალი მეთოდების დანერგვა მოტივაციის გასაზრდელად.

<u>პირველ სემესტრში ჩატარდა 6 სხდომა:</u>

- კათედრამ შეადგინა სამუშაო გეგმა
- განაწილდა საათები.
- განისაზღვრა კომპლექსური დავალებების რაოდენობა.
- დადგინდა მოსწავლეების შეფასება-სოლო ტაქსონომიის დონეების მიხედვით

- კათედრის წევრებმა შექმნენ კომპლექსური დავალების ბარათები, შეფასების რუბრიკები, სოლო ტაქსონომიის გამოყენებით.

- **კათედრა გაეცნო** სამართლებრივი აქტების დოკუმენტს

- ასევე მასწავლებლის პრაქტიკული საქმიანობის შეფასების დოკუმენტს
- შემაჯამებელი კომპლექსური დავალებების-აქტივობების თვითშეფასების ფორმები იქნა გამოყენებული ყველა კათედრის წევრის მიერ
- სემესტრის ბოლოს კათედრაზე მყოფმა ყველა მასწავლებელმა- მოსწავლეებში forms-ის გამოკითხვა ჩაატარა-მოსწავლეების უკუკავშირის მისაღებად.
- **უცხო ენის კათედრაზე ფუნქციონირებს <u>5 უფასო წრე.</u>**
  <u>ინგლისური ენის</u>-3 შემსწავლელი უფასო წრე არის სკოლაში:

  <u>მე-4</u> კლასელებისათვის English speaking club (წრის ხელმძღვანელი- სოფო ჯულაყიძე) წრე ტარდება კვირაში ერთხელ. მოსწავლეების რაოდენობა 9. სულ სემესტრის განმალობაში ჩატარდა 6 შეხვედრა.

  <u>მე-5</u> კლასელებისათვის არსებობს წრე- English Club (წრის ხელმძღვანელი- ირმა ოყროშიძე) ტარდება თვეში ორჯენ, კლუბში გაწევრიანებულია 10 მოსწავლე. პირველ სემესტრში ჩატარდა 6 შეხვედრა.

  <u>მე-8</u>-კლასებისათვის წრე-„English Time Team" (წრის ხელმძღვანელი-მაკა ტყეშელაშვილი) სემესტრის განმავლობაში ჩატარდა 5 შეხვედრა. წრეს ესწრება 18 მოსწავლე.

  სკოლაში გააგრძელა ფუნქციონირება <u>რუსული ენის</u> შემსწავლელმა უფასო წრემ **Клуб любителей русского языка "Изучаем русский язык"** ტარდება კვირაში ერთხელ. მოსწავლეების რაოდენობა 20 (წრის ხელმძღვანელი- მარიამ ჭელიძე)

  <u>გერმანული ენის უფასო წრე</u> ჩაოყალიბდა სკოლაში Edu რომელიც ტარდება ტიმსის პლათფორმაზე დისტანციურად. სემესტრში 3 შეხვედრა ჩატარდა. წრის ხელმძღვანელი ხათუნა თევდრაძე.

- მოსწავლეები ჩაერთნენ ეროვნულ (მე9კლასები ინგლისურში)
  და ონლაინ ოლიმპიადებში (მაკმილანის პროექტის)

- წელს უცხო ენის კათედრა-აკტიურად ჩაერთო **Edu park-ის** პროეკტში, ჩვენი კათედრიდან ჩატარდა 4 გაკვეთილი პროეკტის ფარგლებში:

- კათედრის წევრები აქტიურად არიან ჩართული სხვადასხვა პროეკტებში და ტრენინგებში. ესენია, ციფრული სკოლის პროექი, ctl პროექტი. ბრიტანეთის საბჭოს ტრეინიგი.

- კათედრის წევრებმა შექმნა ძალიან ბევრი სასარგებლო რესურსი, რომლებსაც იყენებდნენ და მომავალშიც გამოიყენებენ საგაკვეთილო პროცესში ან საშინაო დავალების სახით.

ღონისძიებები:

- უცხო ენის კატედრამ ჩაატარა, წრის ფარგლებში დადგმული–საახალწლო ღონისძიება. ჩართული პედაგოგები: მ.ჭელიძე, მადონა ხონელიძე, ნინი კაშია, სოფო ჯულაყიძე, ხათუნა ჯინჭარაძე.
  ბაავშვებმა რუსულად და ინგლისურად იმღერეს საახალწლო სიმღერები და წაგვიკითხეს საახალწლო ლექსები. გერმანულად დაიდგა–კონკიის მინი სცენა.

- ი.ოყროშიძემ ჩაატარა კლუბის ფარგლებში სკაიპ გაკვეთილი ვიეტნამტან.

- ნ.კვიტაშვილმა ჩაატარა ღია გაკვეთილი შოტლანდიაზე მე–8ა კლასში, რომელსაც დაესწრნენ ადმინისტრაცია,კოლეგები და მშობლები.

კათედრის წევრები ვთანამშრომლობთ და ვუზიარებთ ერთმანეთს გამოცდილებას . ჩატარდა ურთიერთ დასწრების გაკვეთილებიც. ი.ოყროშიძე დაესწრო მ.კაკაბაძეს (რომელმაც ინგლისურად ჩაატარა გაკვეთილი ახალი სახელმძღვანელოთი)

კათედრაზე რეგულარულად ვიკრიბებით და ვმსჯელობთ წამოჭრილ პრომლემების გადაჭრის გზებზე, ვთანამშრომლობთ და ვუზიარებთ ერთმანეთს გამოცდილებას .

გაკვეთილებზე აქტიურად ვიყენებთ ტექნოლოგიებს, ვმუშაობთ სმენა- გაგების უნარის განვითარებაზე .

იმედია საგნის მასწავლებლები ახალ აქტივობებს დაგეგმავენ ,რათა უცხო ენების კათედრამ წლის ბოლოსათვის უკეთესი შედეგები აჩვენოს.

როგორც კათედრის ხელმძღვანელი ვიმედოვნებ რომ მომავალი სემესტრი დატვირთული იქნება საჩვენებელი , ინტეგრირებული [illegible] ღონისძიებებით.



კათედრის თავ-რე: [illegible]ელიძე

კათედრის მდივანი : /ნ. კვეტაშვილი/

•